მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისის, ფალიაშვილის ქ. # 27/29, II სართული
ტელეფონი: (+995 32) 2 22 38 74 / 2 29 27 73
ფაქსი: (+995 32) 2 22 38 74
ელ–ფოსტა: greenalt@greenalt.org

N 04 /03–274
"27" სექტემბერი, 2011

განცხადება
"საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია კანონპროექტი, რომელიც გვთავაზობს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა და მცენარეების გარემოდან ამოღების ახალ წესებსა და პროცედურებს.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ არსებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ბუნების დაცვასა და მდგრად გამოყენებას და ცვლილებებს საჭიროებს, მაგრამ სამწუხაროდ, კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებებით არათუ ვერ მოგვარდება, არამედ უფრო გამწვავდება არსებული პრობლემები - დამძიმდება ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა, ხოლო დაცული ტერიტორიების განვითარებაში დღემდე მიღწეული წარმატებები და საერთაშორისო აღიარება უკვალოდ გაქრება. გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, რომლებიც არ შეესაბამება მდგრადი განვითარების თანამედროვე პრინციპებს, ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს და ევროკავშირის დირექტივებს. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს:

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოპოვებას კომერციული მიზნით;
- ნადირობას დაცულ ტერიტორიებში, მათ შორის ეროვნულ პარკებში;
- იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების საბინადრო გარემოს განადგურების შესაძლებლობის დაკანონებას.

ამასთანავე, სრულიად ბუნდოვანია ნადირობის უფლების გაცემის პროცედურები, მოპოვების კვოტებისა და არეალების დადგენის წესები; "წითელი ნუსხისა" და სხვა სანადირო სახეობების უკანონო მოპოვების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება პრაქტიკულად უქმდება; "წითელი ნუსხის" სახეობებთან დაკავშირებით კონტროლის ვალდებულება ეკისრება გარემოს დაცვის სამინისტროს, რისთვისაც მას არანაირი რესურსი არ გააჩნია და არც ამ კანონპროექტით იგეგმება მისი ფინანსური და სტრუქტურული გაძლიერება.

კანონპროექტის ამ სახით მიღება მკვეთრად გააუარესებს არსებულ არასახარბიელო ვითარებას:

- კომერციული მიზნით "წითელი ნუსხის" სახეობების მოპოვების დაკანონება მათ სრული მოსპობის საფრთხის წინაშე დააყენებს;
- ეროვნული პარკები, რომლებსაც ქვეყნის მასშტაბით ისედაც მცირე ფართობი უკავიათ, პრაქტიკულად დაკარგავენ ველური ბუნების რეზერვუარის ფუნქციას, მოისპობა მცირერიცხოვანი სახეობების გამრავლებისა და ბუნებაში შენარჩუნების თეორიული შანსებიც კი;
- გამოუსწორებელი ზიანი მიადგება ეროვნული პარკების ეკოტურისტულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს; ავტომატურად შემცირდება ეკოტურისტების რაოდენობა, რაც უარყოფითად აისახება ეროვნული პარკების მიმდებარე მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლებზე.

ამდენად, კანონპროექტის მიზნები ეწინააღმდეგება იმ კანონების მიზნებს, რომლებშიც დაგეგმილია ცვლილებების შეტანა. ეროვნული პარკებისა და "წითელი ნუსხის" არსს წარმოადგენს ბუნების შენარჩუნება და არა პირდაპირი ფინანსური მოგება. "წითელი ნუსხის" სახეობებზე და ეროვნულ პარკებში ნადირობის დაკანონება იგივეა, რომ გადაწყდეს ეროვნულ მუზეუმში დაცული ოქროს ფონდის გაყიდვა ლითონის ფასად, იმ საბაბით, რომ მუზეუმის ვიზიტორების მიერ გადახდილი თანხა ცოტაა

მათი გაყიდვით მიღებულ შემოსავალთან შედარებით, ხოლო ექსპონატების შენახვა სახელმწიფოს ძვირი უჯდება.

წარმოდგენილი სახით კანონპროექტის მიღება ძლიერ დარტყმას მიაყენებს ქვეყნის ავტორიტეტს, ვინაიდან ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს. იგი უცილობლად გამოიწვევს დონორი ქვეყნებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ ბუნების დაცვაზე გამოყოფილი მრავალმილიონიანი ინვესტიციების შეფერხებას, რაც მოგვიანებით აისახება სხვა სფეროებში ინვესტიციების ოდენობაზე.

ინვესტიციების შემცირებასთან ერთად, წარმოდგენილი ცვლილებები მეტად არასახარბიელო პოლიტიკურ შედეგებს მოიტანს. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტის წინ ისეთი კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მკვეთრად ემიჯნება ევროკავშირის კანონმდებლობას, ჩვენს ქვეყანას დამატებით ბარიერებს შეუქმნის ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე; მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი ცვლილებები შემუშავდა დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ საქართველოს ბიოლოგიური რესურსების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ცვლილებების აუცილებლობას. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი უნდა დაიხვეწოს მდგრადი გამოყენების თანამედროვე პრინციპების შესაბამისად, ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე საქართველოს უნიკალურ ეკოსისტემებს და სრულად იქნეს გათვალისწინებული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები, ჩრდილი არ მიადგეს ქვეყნის პოლიტიკურ იმიჯსა და არ შემცირდეს ინვესტიციები.

ბიომრავალფეროვნების, რამსარისა[1] და ბონის[2] კონვენციების თანახმად, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების და მდგრადი გამოყენების უნივერსალური ინსტრუმენტია „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“; კონვენციები განსაზღვრავენ ეროვნულ კანონმდებლობებში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხების ინტეგრაციის მექანიზმებს. ჩვენთან არსებული პრობლემების გადაწყვეტა ამ მექანიზმის გამოყენებით მისაღებია როგორც გარემოსდაცვითი, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ, რომ განხილულ იქნეს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა.

ამასთან, წარმოგიდგენთ ჩვენს დეტალურ შენიშვნებსა და კომენტარებს აღნიშნულ კანოპროექტზე. გთხოვთ განიხილოთ ჩვენი წინადადები კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენებზე, ასევე, გთხოვთ, უზრუნველყოთ მოსმენებზე ჩვენი მონაწილეობა.
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი

დანართი: 8 გვერდი.
ეგზავნება: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიუროს წევრებს, კომიტეტებსა და ფრაქციებს, გარემოს დაცვის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

[1] რამსარის კონვენცია – კონვენცია "საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ, საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 30 აპრილის N 201 დადგენილებით.
[2] ბონის კონვენცია – კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვაზე, საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის N 136 დადგენილებით.